

დამტკიცებულია :

კოლეჯის დირექტორის

ბრძანება # 03 10/07/2014 წელი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“

შინაგანაწესი

თავი I . ზოგადი დებულებები

მუხლი 1. შინაგანაწესი და მისი მიზანი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი“ (შემდგომში – კოლეჯი) შინაგანაწესი სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგენს კოლეჯის ძირითად დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს შრომისა და საგანმანათლებლო პროცესს, პროფესიულ სტუდენტთა, კოლეჯის ადმინისტრაციისა და პედაგოგების უფლებამოსილებებს. მიზნად ისახავს:

- ა) საგანმანათლებლო პროცესში შრომისა და დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფას;
- ბ) კოლეჯსა და კოლეჯში დასაქმებულებს (შემდგომში დასაქმებული) შორის შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას;
- გ) პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთათვის საქმიანობისას უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნას;
- დ) პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვას;

მუხლი 2. შინაგანაწესის იურიდიული საფუძვლები

წინამდებარე შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს შრომის კოდექსის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 20 ივნისის #74/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი“ წესდების შესაბამისად.

მუხლი 3. შინაგანაწესის მოქმედების სფერო

შინაგანაწესი სავალდებულოა შესასრულებლად:

ა) კოლეჯში მომუშავე ყველა დასაქმებულისათვის (შრომითი ხელშეკრულებების პირობების დაცვასთან, ეთიკის კოდექსთან და სხვა სამართლებრივ აქტებთან ერთად)

ბ) კოლეჯის ყველა სტუდენტისათვის (ხელშეკრულებების პირობების დაცვასთან, ეთიკის კოდექსთან და სხვა სამართლებრივ აქტებთან ერთად)

თავი II. სამუშაო და დასვენების დრო

მუხლი 4. სამუშაო დრო

1. სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი

2. კოლეჯში დაწესებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირა, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. რიგ შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე შაბათი დღე, როგორც სასწავლო და სამუშაო დღე.

3. სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება 9:00 დან 18:00 საათამდე.

4. კოლეჯის დისციპლინური კომიტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივ კათედრების სხდომებზე მონაწილეობის მიღება დამსაქმებლისთვის ითვლება სამუშაო დროდ.

მუხლი 5. დასვენების და უქმე დღეები

1. დასაქმებულსა და პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაისვენოს დასვენების დღეებში.

2. დასვენების დღეებად დადგენილია შაბათი და კვირა.

3. დასაქმებულსა და პროფესიულ სტუდენტს ასევე უფლება აქვს დაისვენოს საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ უქმე დღეებში.

მუხლი 6. სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაოდან წასვლის წესები

დასაქმებული ვალდებულია დააფიქსიროს სამუშაოზე გამოცხადება და სამუშაო ადგილიდან გასვლა, დადგენილი წესით, კოლეჯში საამისოდ გამოყოფილ ადგილზე.

მუხლი 7. სამუშაოზე დაგვიანება

1. კოლეჯში სამუშაოზე დაგვიანებად მიიჩნევა დასაქმებულის სამუშაო ადგილზე სამუშაოს დაწყების დაწესებული დროიდან 15 წუთზე მეტი ხნის დაგვიანებით გამოცხადება.

2. სამუშაოზე დაგვიანება შესაძლებელია ჩაითვალოს საპატიოდ ან არასაპატიოდ ამ შინაგანაწესით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დასაქმებულის მიერ გაცდენილი სამუშაო დროის საპატიოდ ან არასაპატიოდ

ჩათვლა

1. სამუშაოზე დაგვიანება და სამუშაო დროის სხვა სახით გაცდენა საპატიოდ ჩაითვლება თუ კოლეჯის დრექტორი (შემდგომში დამსაქმებელი) დააკმაყოფილებს დასაქმებულის ზეპირ ან წერილობით თხოვნას დაგვიანების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე. ამ მიზნით დამსაქმებელი უფლებამოსილია დასაქმებულს დაგვიანებისათვის მოსთხოვოს მოხსენებითი ბარათის წარმოდგენა.

2. იმ შემთხვევაში თუ დამსაქმებელი სამუშაოზე დაგვიანების ან სამუშაო დროის სხვა სახის გაცდენის თაობაზე აკმაყოფილებს დასაქმებულის ზეპირ ან წერილობით განცხადებას _ ახსნა-განმარტებით ბარათს, აღნიშნული სამუშაო დროის გაცდენა მიიჩნევა საპატიოდ, აქვე მოქმედებს წინამდებარე შინაგანაწესის მე-11 მუხლის („წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა“) 1-ლი და მე-2 პუნქტის მოთხოვნები

3. სამუშაოზე არასაპატიოდ დაგვიანებად ან/და სამუშაოს არასაპატიოდ გაცდენად არ ჩაითვლება დასაქმებულის მიერ სამუშაო დროს სამსახურებრივი მოვალეობების კოლეჯის ტერიტორიის გარეთ შესრულება, რაც გამოწვეულია შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკით. აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებული უნდა იყოს მისი უშუალო უფროსი.

მუხლი 9. სამსახურში გამოუცხადებლობა

1. სამსახურში გამოუცხადებლობად ითვლება დასაქმებულის მიერ საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული ურთიერთობების შეჩერების საფუძვლების არარსებობისას, სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა.

2. სამუშაოზე გამოუცხადებლობად არ ჩაითვლება სამუშაო დროის მიმდინარეობისას დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელება კოლეჯის შენობის გარეთ, მათ შორის სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნის დრო, რაც გამოწვეული იყო შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკით და აღნიშნულის თაობაზე ზეპირი ფორმით მაინც იყო ინფორმირებული მისი უშუალო უფროსი.

მუხლი 10. წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა

1. წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია წინასწარ მიმართოს ზეპირად ან წერილობით დამსაქმებელს შემდგომში სამსახურში არყოფნის მიზეზების, სავარაუდო პერიოდის მითითებით და ითხოვოს ამ ხნის განმავლობაში სამსახურებრივი ვალდებულებებისაგან დროებით განთავისუფლება.

2. სამუშაოდან დროებით განთავისუფლების თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში დასაქმებულის სამუშაოზე გამოუცხადებლობის მიზანშეწონილობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალო ხელმძღვანელს

3. სამუშაოდან დროებით განთავისუფლების თხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია ჩვეულ რეჟიმში განარძოს შრომითი საქმიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ქმედება განიხილება სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენად და დამსაქმებელი უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

მუხლი 11. წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა

1. წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია შესაძლებლობის ფარგლებში დაუყოვნებლივ სიტყვიერად (ტელეფონით) აცნობოს დამსაქმებელს გამოუცხადებლობის მიზეზი და სავარაუდო პერიოდი. გამოცხადების შემდეგ, მოთხოვნის შემთხვევაში, უმოკლეს დროში წარუდგინოს მას მოხსენებითი ბარათი.

2. ორ დღეზე მეტი ვადით, წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დასაქმებულმა წერილობით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს გაცდენილი დროის საპატოიდ ჩათვლის თხოვნით.

მუხლი 12. არასაპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შედეგები

1. არასაპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოიყენოს ამ შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები

მუხლი 13. დასაქმებულის ვალდებულებანი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას,

მივლინებაში ან შვებულებაში გასვლის დროს

1. დასაქმებული ვალდებულია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან ორი დღის ვადაში უზრუნველყოს სამსახურთან დაკავშირებული და მისთვის მინდობილი დოკუმენტაციის (შესაბამისი ელექტრონული ვერსიების ადგილსამყოფელის მითითებით) და ქონების, მათ შორის სამუშაო ოთახის გასაღების შესაბამისი პასუხისმგებელი პირისათვის გადაცემა.

2. დასაქმებული ვალდებულია შვებულებაში გასვლამდე, ან მივლინებაში გამგზავრებამდე უზრუნველყოს მასთან არსებული სამსახურებრივი ხასიათის დოკუმენტაციის გადაცემა დამსაქმებლისათვის (უშუალო ხელმძღვანელისათვის) შესაბამისი ელექტრონული ვერსიების ადგილსამყოფელის მითითებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამსაქმებელი (უშუალო უფროსი) შვებულებაში ან მივლინებაში მყოფი დასაქმებულის დოკუმენტაციას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის მიზნით აძლევს მსვლელობას.

მუხლი 14. შესვენების დრო

1. დასაქმებულს უფლება აქვს სამუშაო დღის განმავლობაში ისარგებლოს შესვენებით.

2. დასაქმებულს კვებისა და დასვენებისათვის ეძლევა შესვენება სამუშაო დღის 13:00 საათიდან 14:00 საათამდე.

3. შესვენება არ შედის სამუშაო დროში და დასაქმებული მას იყენებს თავისი სურვილის შესაბამისად. დროის ამ შუალედში მას ეძლევა სამუშაოს შესრულების ადგილიდან (კოლეჯის ტერიტორიიდან ან ნებისმიერი სხვა ადგილიდან, სადაც იგი ვალდებულია შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობანი) წასვლის უფლება.

4. თუ შესვენების დრო ემთხვევა დასაქმებულის მიერ შრომის ხელშეკრულებით განსაზღვრულ დღის 13:00 _ 14:00 სთ. მონაკვეთში შესასრულებელ ვალდებულებას, დასაქმებული უფლებამოსილია უშუალო უფროსთან შეთანხმებით ისარგებლოს შესვენებით ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შესვენების დროსგან განსხვავებულ დროს.

თავი III. დასვენებისა და სადღესასწაულო დღეები, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ კოლეჯში ყოფნის პირობები და წესები

მუხლი 15. დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობის გამონაკლისი შემთხვევები.

არასამუშაო დროს სამუშაო ადგილზე ყოფნის პირობები

1. ამ შინაგანაწესით დადგენილ დასვენებისა და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებში, აგრეთვე სამუშაო დროის შემდგომ სამუშაო ადგილზე მუშაობა შესაძლებელია:

ა) კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში და დადგენილი თავისებურებების შესაბამისად, სათანადო კომპენსაციით ფულადი ან/და დასვენების დღის სახით.

ბ) საკუთარი ინიციატივით, იმ პირის სიტყვიერი თანხმობის საფუძველზე, რომლის წინაშეც დასაქმებული უშუალოდ არის პასუხისმგებელი.

2. არასამუშაო დროს საკუთარი ინიციატივით (უფლებამოსილი პირის დავალების გარეშე) სამუშაოს შესრულებისას დასაქმებულს კომპენსაცია არ მიეცემა. რაც არ გამოირიცხავს ამ დასაქმებულის მიმართ წახალისების ზომების გამოყენებას.

3. დასაქმებულის ინიციატივით არასამუშაო დროს, სამუშაო ადგილზე გამოცხადება დასაქმებულის მიერ წინასწარ უნდა შეთანხმდეს კოლეჯის დირექტორთან.

მუხლი 16. სამსახურებრივ უფლებამოსილებათა განხორციელება არასამუშაო დროს

დასაქმებული, რომელიც ამ შინაგანაწესით დადგენილი პირობების დაცვით იმყოფება არასამუშაო დროს სამუშაო ადგილზე (დასვენების ან უქმე დღეებში, ან სამუშაო დროის შემდეგ) ახორციელებს მისთვის მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს, მათ შორის ვალდებულია:

ა) დაიცვას შრომის უსაფრთხოება;

ბ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას

თავი IV. პროფესიული სტუდენტი და მისი უფლება-მოვალეობები

მუხლი 17. პროფესიული სტუდენტი

1. კოლეჯში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე შინაგანაწესით.

2. კოლეჯში პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „ოპიზარი“ პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურის“-ისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2013 წლის 27 სექტემბრის #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ საფუძველზე. ხოლო პროფესიული სტუდენტის სახელობითი სიდიდან ამორიცხვის წესი განისაზღვრება წინამდებარე შინაგანაწესით

3. კოლეჯი ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე ცენტრის წარდგინებით სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში აცხადებს აპლიკანტთა მიღებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ცენტრის მიერ დადგენილი ელექტრონული ფორმით, სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

4. დაწესებულება დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში აცხადებს აპლიკანტთა მიღებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე;

5. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების დასრულებიდან 5 დღის ვადაში და დაწესებულების ხელმძღვანელი, დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტესტირების დასრულებიდან 10 დღის ვადაში ქმნის რანჟირების დოკუმენტს, კოლეჯის დირექტორი ტესტირების დაწყებამდე განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და წარდგენის ვადებს. დოკუმენტაციის წარდგენიდან 2 დღის ვადაში , დაწესებულების ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/ შემდგომ საფეხურზე და აფორმებს მათთან ხელშეკრულებას(ქმედუუნარობის/ შეზღუდულქმედუნარიანობის შემთხვევაში მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან);.

6. სსსმ პირთა მიღების პროცედურა განისაზღვრება განათლებისა და მეცნიერების 2013 წლის 27 სექტემბრის #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ შესაბამისად.

7. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შესახებ მონაცემებს დაწესებულება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში ასახავს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში.

8. კოლეჯი აწარმოებს სტუდენტთა მიღებას საბიუჯეტო ჯგუფებში, ასევე მოკლევადიან კურსებზე.

მუხლი 18. პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები

1. პროფესიული სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;

ბ) დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;

გ) გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;

დ) გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით კოლეჯში დასაქმებულის ან/და პროფესიული სტუდენტის არამართლზომიერი ქმედება;

პროფესიულ სტუდენტს, ერთი საფეხურის გავლის შემდეგ, უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე.

2. პროფესიულ სტუდენტს აქვს მობილობის უფლება:

პროფესიულ სტუდენტთა მობილობის(შიდა/გარე) ადმინისტრირებას ახორციელებს კოლეჯის დირექტორი.

მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის # 120/ნ დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით გათვალისწინებული პროფესიული სპეციალიზაციის მიხედვით;

ერთი და იმავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე 1 თვით ადრე.

შიდა მობილობა ხორციელდება სწავლის დაწყებიდან 35 კალენდარული დღის განმავლობაში ერთი და იმავე დარგობლივი მიმართულების ფარგლებში ვაუჩერული დაფინანსების შენარჩუნებით.

მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორი ქმნის სპეციალურ კომისიას. განხილვის შედეგებს კომისია აცნობებს დირექტორს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.

მობილობის უფლების მქონე პირი:

ა) მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის მომენტისათვის წარმოადგენს პროფესიული დაწესებულების სტუდენტს.

ბ) მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

მობილობაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა:

ა) მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი საფეხურის ფარგლებში.

სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაწესებულება ლიკვიდირებული იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, ან დაწესებულება აღარ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს კოლეჯში დადგენილი წესით რეგისტრაციის შედეგად. კერძოდ, განცხადებით მიმართავს კოლეჯს კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები. კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ შესაძლებელია მოთხოვნილი იქნას სხვა დოკუმენტებიც, რაც განცხადების რეგისტრაციისას ეცნობება მობილობის მსურველ პირს და განესაზღვრება ვადა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოსადგენად. დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მობილობაზე უარის თქმის საფუძველი.

კოლეჯის მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე შეიმუშავებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე. შესაბამისი ჩანაწერი შეიტანება დაწესებულების რეესტრში.

მუხლი 19. სტუდენტის მიერ გაცდენების საპატიოდ ჩათვლა

1. პროფესიულ სტუდენტს გაცდენა საპატიოდ ეთვლება:

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რომელიც დადასტურებულია სამედიცინო ცნობით.

ბ) ოჯახური ან პირადი მდგომარეობის გამო.

გ) ოჯახის წევრის გარდაცვალება (მშობელი, და-მმა, ბებია-ბაბუა, მეუღლე, შვილი, დედამთილმამამთილი).

დ) სხვა გამონაკლის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებული იქნება კოლეჯის ადმინისტრაციის შეხედულებისამებრ.

მუხლი 20. პროფესიული სტუდენტის ვალდებულებები

1. კოლეჯის პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) უმიზეზოდ არ გააცდინოს სასწავლო პროცესი;

ბ) არ დააგვიანოს სასწავლო პროცესზე;

გ) უზრუნველყოს ლექცია-პრაქტიკულისათვის საჭირო ლიტერატურისა და სასწავლო ნივთების შეძენა (არასრულწლოვნების შემთხვევაში მშობელმა ან/და მეურვემ)

დ) მეცადინეობის მიმდინარეობის დროს არ დატოვოს აუდიტორია;

ე) საცხოვრებელი ადგილის ან ტელეფონის ნომრის გამოცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას;

ვ) დაემორჩილოს ამ შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებს და კოლეჯში დასაქმებული უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს;

ზ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას;

თ) დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის უსაფრთხოების წესები;

ი) დაიცვას სანიტარული ნორმები და არ დაანაგვიანოს კოლეჯის ტერიტორია;

კ) პატივი სცეს პროფესიული სტუდენტების და კოლეჯის თანამშრომლების ღირსებას, არ დაუშვას მათზე რაიმე ფორმით ზეწოლა ან მათ მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელი;

2. პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯისათვის ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის გამო ზიანის ოდენობის შესაბამისი მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს (არასრულწლოვანების შემთხვევაში – მის კანონიერ წარმომადგენელს);

3. პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:

ა) ალკოჰოლური სასმელების და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთების კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და გამოყენება;

ბ) ალკოჰოლური ან/და სხვა სახის თრობისას სასწავლებლის ტერიტორიაზე გამოცხადება და გადაადგილება;

გ) კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, კოლეჯის ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, ლექციების მიმდინარეობისას მობილური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება;

დ) თამბაქოს მოწევა კოლეჯის შენობაში;

ე) კოლეჯის ტერიტორიაზე უცხო პირთა შემოყვანა;

5. პროფესიული სტუდენტის მიერ ამ მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევა განიხილება დისციპლინურ გადაცდომად და კოლეჯი უფლებამოსილია დამრღვევი პროფესიული სტუდენტის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთერთი

შემდეგი ფორმა:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) გარიცხვა.

მუხლი 21. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, შეჩერება.

კოლეჯში ჩარიცხული სტუდენტის დაწესებულების რეესტრიდან ამოღება შესაძლებელია განხორციელდეს და სტუდენტს არ მიეცეს შესაბამისი საგანმანათლებლო დოკუმენტი საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით. ინდივიდუალური შემთხვევის შესწავლის შედეგად მიღებული დადგენილებით, დოკუმენტალურად დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე:

1. პირადი განცხადებით;

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული მოცულობის 40%-ის ან ზედიზედ 25 სასწავლო დღის არასაპატიოდ გაცდენის შემთხვევაში;

3. რეიტინგულ შეფასებაში 40 %-ანი ბარიერის ვერ გადალახვის შემთხვევაში;

4. მის მიმართ სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის შემთხვევაში;

5. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარების შემთხვევაში;

6. გარდაცვალების შემთხვევაში;

7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის არ გადახდის შემთხვევაში

8. შინაგანაწესით, ხელშეკრულებით, კოლეჯის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების, სისტემატიური ან ერთჯერადი უხეში დარღვევის შემთხვევაში;

9. არ გაიარა კოლეჯის მიერ მისთვის გამოყოფილ ადგილზე საწარმოო პრაქტიკა, ან არ იცავდა და უხეშად არღვევდა საწარმოო პრაქტიკის განრიგსა და ქცევის წესებს;

10. პროფესიულ სტუდენტი, რომელიც ვერ/არ გამოცხადდება დასკვნით გამოცდებზე ან ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ შეფასებას, ამოირიცხება სტუდენტთა სახელობითი სიიდან. დასკვნით გამოცდებზე პროფესიული სტუდენტის განმეორებით გასვლის წესს ადგენს კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი;

11. პროფესიული სტუდენტი, რომელიც წარმატებით დაასრულებს პროგრამას, კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ ამოირიცხება სტუდენტთა სახელობითი სიიდან და გადაეცემა შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

12. ამორიცხული პროფესიული სტუდენტის შესახებ მონაცემები აისახება საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში.

13. ამ მუხლის საფუძველზე (გარდა 1-ლი,მე-6 და მე-11 პუნქტებისა) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეცნობის სტუდენტს სატელეფონო, ელექტრონული საშუალებით ან საფოსტო შეტყობინებით ფიქსირებულ მისამართზე გარიცხვამდე გონივრულ ვადაში. სატელეფონო ან ელექტრონული საშუალებით შეტყობინების შემთხვევაში პასუხისმგებელმა პირმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი მოხსენება სტუდენტთან გასაუბრების შესახებ.

სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა თუ აღკვეთი ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა–სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ბ) ხანგრძლივი ავადმყოფობა;

გ) ორსულობა;

დ) საზღვარგარეთ წასვლა ხანგრძლივი დროით;

ე) სამხედრო სამსახურში გაწვევა;

ვ) სხვა მოტივირებული საფუძველი, რომლის არსებობისადაც განიხილავს კოლეჯის დირექტორი (ან საამისოდ უფლებამოსილი პირი/პირები).

რომელიმე საფუძვლის არსებობისას სტუდენტი განცხადებით (რომელსაც უნდა დაერთოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) მიმართავს კოლეჯის დირექტორს და ითხოვს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრისათვის საჭირო ვადით.

სტუდენტის მიერ წარდგენილ განცხადებას და მასალებს იხილავს კოლეჯის დირექტორი (ან საამისოდ უფლებამოსილი პირი/პირები) და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების, ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სტუდენტის სტატუსი ჩერდება, შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრისათვის საჭირო ვადით.

სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ პერიოდიდან როდესაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

კოლეჯის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე, სტუდენტი მიიჩნევა სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება სტატუსის შეჩერებიდან არანაკლებ ორი წლის განმავლობაში. ვადის გასვლის შემთხვევაში სტუდენტს ავტომატურად უწყდება სტატუსი, რაც აისახება დაწესებულების რეესტრში;

თავი V. კოლეჯში დასაქმებულის უფლებამოსილებები

მუხლი 22. უფლებათა ფარგლები

დასაქმებული, გარდა ამ შინაგანაწესით გათვალისწინებული შრომითი უფლებებისა, სარგებლობს საქართველოს კონცტიტუციით, საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი ყველა სხვა უფლებით.

მუხლი 23. შვებულების უფლება

1. დასაქმებულს აქვს შვებულების უფლება, რომელიც მოიცავს კალენდარული დღეების ერთობლიობას, რომლის განმავლობაშიც იგი დროებით თავისუფლდება სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან, ხოლო კოლეჯი – მისთვის სამსახურით უზრუნველყოფის ვალდებულებისაგან.
2. შვებულების განმავლობაში დასაქმებულს უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო.
3. შვებულების მიცემა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომელსაც დაინტერესებულ პირს აცნობს კოლეჯის საქმის მწარმოებელი.

მუხლი 24. ანაზღაურებადი შვებულების მიცემის წესი

1. დასაქმებულს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის გასვლის შემდეგ; მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულს შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც.

2. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით- წელიწადში 24 სამუშაო დღით.

3. კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია დასაქმებულთათვის დაადგინოს წლის განმავლობაში ანაზღაურებად შვებულებათა მიცემის რიგითობა

4. შვებულების სარგებლობის უფლების გამოყენების მიზნით დასაქმებული წერილობითი განცხადებით, შვებულების სასურველ თარიღამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე მიმართავს კოლეჯის დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

5. ანაზღაურებას ექვემდებარება ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება, განურჩევლად იმისა, ერთდროულად იყო გამოყენებული იგი თუ ნაწილ-ნაწილ.

6. თუ ადგილი აქვს ანაზღაურებადი შვებულებით ნაწილ-ნაწილ სარგებლობას, საშვებულებო ანაზღაურება გაიცემა ასევე ნაწილ-ნაწილ, გამოყენებული დღეების პროპორციულად.

მუხლი 25. ანაზღაურებადი შვებულების გადატანის შემთხვევები

1. თუ დასაქმებულისათვის მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე, შვებულება შეიძლება გადატანილ იქნას მომდევნო სამუშაო წელს.

2. შვებულების გადატანის საკითხის დაყენების უფლება აქვს დასაქმებულს ან/და უშუალო უფროსს, რის თაობაზეც პირი დასაბუთებული წინადადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

3. აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში.

მუხლი 26. ანაზღაურების გარეშე შვებულება

1. დასაქმებულს შეიძლება მიეცეს შვებულება ანაზღაურების გარეშე წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით..

2. ანაზღაურების გარეშე შვებულების გადატანის მოთხოვნა მომდევნო წლისათვის არ დაიშვება. მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ყოველ კონკრეტულ სამუშაო წელს.

მუხლი 27. შეთავსებით მუშაობის უფლება

დასაქმებულს უფლება აქვს შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს ამ შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვის პირობით.

მუხლი 28. მივლინებაში გაგზავნის წესი

1. სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია დასაქმებული მიავლინოს მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ, კანონმდებლობით. განსაზღვრული სამივლინებო ხარჯების სრულად ან ნაწილობრივ გაღებით, ან მომწვევი მხარის სახსრებით.

2. მივლინებაში გაგზავნის ინიციატორი შეიძლება იყოს დასაქმებული ან მისი უშუალო უფროსი, რომელიც დირექტორის სახელზე მივლინების დაწყების თარიღამდე 5 სამუშაო დღით ადრე ადგენს დასაბუთებულ მოხსენებით ბარათს მივლინების მიზნის, დროის, ადგილისა და დაფინანსების წყაროს, ასევე მივლინებიდან მოსალოდნელი სასურველი შედეგის მითითებით. მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დირექტორი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

3. მივლინება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომლის პროექტს ამზადებს და დაინტერესებულ პირს/პირებს აცნობს კოლეჯის საქმის მწარმოებელი.

4. დასაქმებული ვალდებულია მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა კოლეჯის დირექტორს წარუდგინოს ანგარიში მივლინების დროს შესრულებული სამუშაოს შესახებ, კერძოდ: მივლინების მიზნის, მისი მიმდინარეობის, შედეგების და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ ანგარიში.

5. მივლინების მიმდინარეობისას დასაქმებულისათვის მივლინების მიზნებიდან გამომდინარე გადაცემული სახელმძღვანელოები, ბუკლეტები, ბროშურები, აუდიო-ვიდეო და სხვა საინფორმაციო მასალა ითვლება კოლეჯის საკუთრებად.

თავი VI. დასაქმებულისა და პროფესიული სტუდენტის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა

მუხლი 29. დასაქმებულის წახალისების წესი

1. კოლეჯის დირექტორი ბრძანებით იღებს გადაწყვეტილებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასაქმებულის წახალისების შესახებ:

ა) კონკრეტული დამსახურებისათვის, რომელიც აღემატება დასაქმებულის ჩვეულ სამსახურებრივ მოვალეობებს და დაკავშირებულია ზედმეტ ძალისხმევასთან;

ბ) კონკრეტული დამსახურებისათვის, რომელიც შედის დასაქმებულის სამსახურებრივ მოვალეობებში, მაგრამ შესრულებულია სანიმუშოდ;

გ) განსაკუთრებული სირთულის მქონე დავალების წარმატებით შესრულებისათვის;

დ) ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი შრომისათვის;

ე) კოლეჯის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის.

2. დასაქმებულის წახალისების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს დირექტორს საკუთარი შეხედულების შესაბამისად ან დასაქმებულის უშუალო უფროსის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში დასაქმებულის მიმართ წახალისების ფორმათ შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება;

გ) ფულადი პრემია.

4. დასაქმებულის წასახალისებლად შესაძლებელია ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

მუხლი 30. პროფესიული სტუდენტის წახალისების წესი

1. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას წარჩინებული, სანიმუშო სტუდენტების წახალისების შესახებ ამ მიზნით შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე. წახალისების ფორმით შეიძლება გამოყენებულ იქნას:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი ნამუშევრით დასაჩუქრება;

გ) უფასო ექსკურსიის ორგანიზება;

დ) დასაქმება

მუხლი 31. დასაქმებულის დისციპლინური პასუხისმგებლობის წესები

1. დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს:

ა) სამსახურებრივი მოვალეობების და წინამდებარე შინაგანაწესის მოთხოვნების ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

ბ) კოლეჯისათვის მატერიალური ზიანის ბრალეულად მიყენება ან ასეთი ზიანის მიყენების რეალური საშიშროების შექმნა;

გ) ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან კოლეჯის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ.

დ) სამუშაო დროს ინტერნეტის არასამსახურებრივი მიზნით გამოყენება.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დისციპლინური გადაცდომა გამოიწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას;

3. კოლეჯის დირექტორი, დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, უფლებამოსილია გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი შემდეგი ზომა:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სამსახურიდან გათავისუფლება;

4. ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთი ზომა.

თავი VII. დასაქმებულის მიერ ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვის ვალდებულება

მუხლი 32. დასაქმებულის ვალდებულებები ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვის

სფეროში

1. დასაქმებული ვალდებულია პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებს და ღირსეობებს.

2. დასაქმებულს კოლეჯის ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე ეკრძალება სასწავლებლის ტერიტორიაზე: მასალის, ნაკეთობის, დანადგარის შეტანა ან გატანა.

3. დაუშვებელია სამუშაო ადგილზე ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკული თუ ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას გამოცხადება.

4. დასაქმებულს ეკრძალება ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, რომლებთანაც აქვს სამსახურებრივი ურთიერთობა, საჩუქრის მიღება;

5. საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, კოლეჯის შენობა-ნაგებობაში მოწევა აკრძალულია. ამ შეზღუდვის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

6. მოქალაქეებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობისას დასაქმებული ვალდებულია დაიცვას ეთიკური და ზნეობრივი ნორმები, იყოს ყურადღებიანი და ზრდილობიანი.

7. დასაქმებულს, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობების შესაბამისად ვალდებულია გაუწიოს მომსახურება, მიიღოს გადაწყვეტილება ან შეასრულოს რაიმე მოქმედება, უფლება არა აქვს ამისათვის მიიღოს ან მოითხოვოს ანაზღაურება ქონებრივი ან სხვა სახით, გარდა თანამდებობრივი შრომის ანაზღაურებისა.

8. დასაქმებული ვალდებულია, როგორც შრომითი ურთიერთობისას, ასევე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ არ გაავრცელოს ან სამსახურებრივი მიზნებისათვის არ გამოიყენოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით.

თავი VIII. შრომის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები

მუხლი 33. შრომის დაცვა

1. შრომის დაცვაში იგულისხმება ტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და სამართლებრივი ღონისძიებების ფართო სისტემა, რომელიც მიმართულია შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად.

2. კოლეჯი თავისი ვალდებულებებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს დასაქმებულებისათვის შრომის კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნას, ყველა სამუშაო ადგილის სათანადო ტექნიკურ მოწყობას და იქ შრომის ისეთი პირობების შექმნას, როგორც შეესაბამება შრომის დაცვის წესებს.

მუხლი 34. დასაქმებულთა ვალდებულებები შრომის დაცვის უზრუნველსაყოფად

1. დასაქმებულები ვალდებულნი არიან დაიცვან კოლეჯის საკუთრებასა თუ მფლობელობაში არსებული დაზღა-დანადგარებით და მექანიზმებით სარგებლობის დაწესებული მოთხოვნები, გამოიყენონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, შეასრულონ და დაიცვან სამუშაოთა შესრულების, შრომისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები.

2. შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის დასაქმებულებს ეკისრებათ ამ შინაგანაწესით დადგენილი ადმინისტრაციული, მატერიალური ან საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

თავი IX. დასაქმებულის ხელფასის გაცემა

მუხლი 35. ხელფასის გაცემა

დასაქმებულისათვის შრომის ანაზღაურება წარმოებს შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით კოლეჯის დირექტორის მიერ, განსაზღვრული თანამდებობის, კვალიფიკაციის და საშტატო განაკვეთის გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 36. ხელფასის გაცემის დრო და ადგილი

1. დასაქმებულს ხელფასი ეძლევა თვეში ერთხელ, თვის ბოლო კვირის განმავლობაში.

2. კოლეჯი იხსნის პასუხისმგებლობას საბანკო თუ სახელმწიფო ბიუჯეტის სისტემებში წარმოქმნილი მიზეზებით ხელფასის გაცემის შეფერხებაზე და ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე.

3. ხელფასი გაიცემა ბანკის საშუალებით პირად ანგარიშზე გადარიცხვით.

მუხლი 37. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

1. წინამდებარე შინაგანაწესის შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავებიან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

2. მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შეთახმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 38. ფორს-მაჟორი

1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა,

ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ შინაგანაწესის შესრულებაზე.

თავი X. დასკვნითი დებულებები

მუხლი 39. დასკვნითი დებულებები

1. პროფესიული სტუდენტის და დასაქმებულის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით და შრომითი კანონმდებლობით.
2. კოლეჯის საქმის მწარმოებელი ვალდებულია გააცნოს დასაქმებულს წინამდებარე შინაგანაწესი, რაც დასტურდება დასაქმებულის ხელმოწერით.
3. კოლეჯის საქმის მწარმოებელი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების მიერ შინაგანაწესის გაცნობის შესაძლებლობა.
4. წინამდებარე შინაგანაწესში ცვლილების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.